# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

თებერვალი 2022

საქართველო

# სასტუმროს ფასების დინამიკა საქართველოს ზამთრის საკურორტო რეგიონებში

PMC Research

www.pmcresearch.org

# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

## საქართველო

## თებერვალი 2022

- 2022 წლის თებერვალში **საერთაშორისო ვიზიტორების** რაოდენობით გამოირჩეოდნენ თურქეთი (29 606 ვიზიტით), რუსეთი (20 876 ვიზიტით) და სომხეთი (17 366 ვიზიტით).
- 2022 წლის თებერვალში, 2021 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსმა (სფი)** წლიურ 17.5%-ს მიაღწია, რაც 2021 წლის თებერვალში დაწესებული შეზღუდვებით აიხსნება.
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი **ზამთრის სეზონზე ყველაზე ხშირად მონახულებულ რეგიონებს** შორისაა, რადგან ამ რეგიონებში მდებარეობს საქართველოს უმთავრესი სათხილამურო კურორტები - ბაკურიანი და გუდაური.
- 2020 წლის განმავლობაში **წლიური სფი** ორივე რეგიონში უარყოფითი იყო, მაგრამ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში უფრო მაღალი კლება აღინიშნებოდა. 2021 წლის განმავლობაში სასტუმროების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით მცხეთა-მთიანეთში სფი-მა საშუალოდ 23.5%-ს მიაღწია, ხოლო სამცხე-ჯავახეთისთვის საშუალო სფი-მა 15.2% შეადგინა.
- 2019-2022 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში **სასტუმროს საშუალო თვიური ფასები** სამცხე-ჯავახეთთან შედარებით მაღალი იყო. კერძოდ, ზამთრის თვეებში მცხეთა-მთიანეთში სასტუმროს საშუალო ფასი 175 ლარი იყო, რაც 12.9%-ით აღემატება სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელს(155 ლარი).

# საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკა

- **საერთაშორისო მოგზაურთა**[1] რიცხვი 2022 წლის თებერვალში 293.6%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 64.7%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

- **საერთაშორისო ვიზიტორების**[2] რაოდენობა 274.8%-ით გაიზარდა (2022/2021) და 60.7%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო **საერთაშორისო ტურისტების**[3] რაოდენობა 282.4%-ით გაიზარდა (2022/2021) და 46.7%-ით შემცირდა (2022/2019).




- 2022 წლის თებერვალში[4] საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ თურქეთი (29 606 ვიზიტით), რუსეთი (20 876 ვიზიტით) და სომხეთი (17 366 ვიზიტით).

- ამ ქვეყნებიდან ყველაზე მეტად თურქეთიდან შემომავალი ვიზიტორების რაოდენობა აღდგა (2019 წლის მაჩვენებლის 48%), რასაც მოჰყვა რუსეთი (30%-იანი აღდგენის მაჩვენებლით) და სომხეთი (25%).

- გარდა ამისა, 2022 წლის თებერვალში მნიშვნელოვნად აღდგა უკრაინიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (2019 წლის მაჩვენებლის 85% შეადგინა) და 8 601 -ს მიაღწია.

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.

2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.

3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.

4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის თებერვალში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.

# სასტუმროს ფასების დინამიკა ზამთრის საკურორტო რეგიონებში

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი ზამთრის სეზონზე ყველაზე ხშირად მონახულებულ რეგიონებს შორისაა, რადგან ამ რეგიონებში მდებარეობს გუდაურისა და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები[5].
- გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთა-მთიანეთი უფრო პოპულარულია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთი როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორებისათვის.

წლიური სფი მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, გაანგარიშებული ლარში(2019-2022 თებერვალი)




5 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების ძალიან მცირე ნაწილი სტუმრობს საქართველოს სხვა სათხილამურო კურორტებს, როგორიცაა გოდერძი და მესტია.

- 2017-2020 წლების პირველ კვარტლებში ამ რეგიონებში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ, საშუალოდ, შეადგინა მთლიანი ვიზიტების 24.7%, ხოლო შიდა ვიზიტებისთვის ეს მაჩვენებელი 10.2% იყო.
- 2020 წლის დასაწყისში სასტუმროს ფასების ინდექსი უარყოფითი იყო ორივე რეგიონში, თუმცა წლიური ფასების ვარდნა მნიშვნელოვნად მაღალი იყო სამცხე- ჯავახეთში და 2020 წლის მარტში სფი-მა -30.1%-ს მიაღწია.
- 2021 წლის ზამთრის სეზონზე ფასების მნიშვნელოვანი აღდგენა შეინიშნებოდა და სამცხე-ჯავახეთში სასტუმროს ფასების ინდექსმა მაქსიმუმს (34.3%) 2021 წლის მარტში მიაღწია. ამავდროულად, 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე სასტუმროს ფასების ინდექსი მცხეთა-მთიანეთში შედარებით სტაბილური იყო და საშუალოდ 0.8%-ს შეადგენდა.
- შემდეგ, ზამთრის სეზონამდე (2021 წლის დეკემბერი), სფი საშუალოდ დადებითი იყო ორივე რეგიონისათვის, მაგრამ სფი უფრო მაღალი იყო მცხეთა-მთიანეთისთვის (17.3%) სამცხე-ჯავახეთთან შედარებით (10.8%).
- 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით მცხეთა-მთიანეთში სფი-მა საშუალოდ 23.5%-ს მიაღწია, ხოლო სამცხე-ჯავახეთის საშუალო სფი 15.2%-ს შეადგენდა.
- საბოლოოდ, მიუხედავად 2020 წლის განმავლობაში პანდემიის შედეგად ფასების ვარდნისა, 2021 წელს შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი აღდგენის დინამიკა, ხოლო 2022 წლის ზამთრის სეზონში ფასების ზრდის ტემპი მეტად აჩქარდა.

# სასტუმროს ფასების დინამიკა ზამთრის საკურორტო რეგიონებში

- 2019 წლიდან 2022 წლის თებერვლამდე საშუალო თვიური ფასები ორივე რეგიონში გარკვეული სეზონების მიხედვით ცვალებადია. ზამთრის სეზონზე უფრო მაღალი ფასები შესაძლოა აიხსნას სათხილამურო კურორტებზე მაღალი მოთხოვნით.
- 2019-2022 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასტუმროს საშუალო თვიური ფასები სამცხე-ჯავახეთთან შედარებით მაღალი იყო.

საშუალო თვიური სასტუმროს ფასები მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ლარი (2019-2022 თებერვალი)




- კერძოდ, ზამთრის თვეებში მცხეთა-მთიანეთში სასტუმროს საშუალო ფასი 175 ლარი იყო, რაც 12.9%-ით აღემატება სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელს(155 ლარი).
- თუმცა, აღსანიშნავია, რომ საოჯახო სასტუმროების ფასები ორივე რეგიონში მსგავსი იყო და ფასებს შორის განსხვავება ძირითადად 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებით იყო განპირობებული.

- 2022 წლის ზამთრის სეზონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო ფასები 2019 წლისა და 2020 წლის პანდემიამდელ მონაცემებთან შედარებით.
- მცხეთა-მთიანეთში 2022 წლის ზამთრის საშუალო ფასები 40%-ით აღემატებოდა 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო 44.1%-ით 2020 წლის მაჩვენებელს. 2022 წლის ზამთარში, 2019 წლის ზამთართან შედარებით, სამცხე-ჯავახეთში ფასების ზრდა 23.3% აღმოჩნდა, ხოლო 2020-თან შედარებით, სამცხე-ჯავახეთში სასტუმროს საშუალო ფასები 42.7%-ით გაიზარდა.
- უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ზამთრის სეზონზე ფასების შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს აღნიშნულ პერიოდში ორივე რეგიონის წყალმომარაგების პრობლემით.

* გაითვალისწინეთ, რომ მონაცემები მოიცავს ფასებს მთელი რეგიონისთვის, საქართველოს მთავარი სათხილამურო კურორტების (გუდაური მცხეთა მთიანეთში და ბაკურიანი სამცხე-ჯავახეთში) და სხვა ტურისტულ დანიშნულების ადგილების (მცხეთა მცხეთა-მთიანეთში და ბორჯომი სამცხე-ჯავახეთში) ჩათვლით.

# სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[6] 2022 წლის თებერვალში, 2022 წლის იანვართან შედარებით, 4.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 7.0%-ით გაიზარდა.

- 2022 წლის თებერვალში, 2021 წლის თებერვალთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 17.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 19.5%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 22.8%-ით გაიზარდა. წლიური სფი ყველაზე მაღალი აჭარის 3*,4*,5* სასტუმროებისთვის აღმოჩნდა და 45% შეადგინა, რაც შესაძლოა აიხსნას 2021 წლის თებერვალში დაწესებული შეზღუდვებით.

| **რეგიონი** | **სასტუმრო** | | **3*, 4*, 5*** | | **საოჯახო** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **2022 თებ/ 2022 იან** | **2022 თებ/ 2021 თებ** | **2022 თებ/ 2022 იან** | **2022 თებ/ 2021 თებ** | **2022 თებ/ 2022 იან** | **2022 თებ/ 2021 თებ** |
| კახეთი | 9.8% | 17.0% | -3.4% | 11.0% | 21.9% | 22.9% |
| იმერეთი | 14.2% | 19.4% | 16.1% | 26.0% | 12.4% | 15.6% |
| გურია | 7.0% | 19.7% | 7.0% | -8.7% | - | 105.7% |
| ქვემო ქართლი | 0.0% | 0.0% | - | 0.0% | 0.0% | 0.0% |
| აჭარა | 6.9% | 31.0% | 7.7% | 44.5% | 1.4% | 13.6% |
| რაჭა | 4.1% | 7.3% | - | - | 4.1% | 7.3% |
| შიდა ქართლი | -4.0% | 23.4% | 16.7% | 26.9% | -12.9% | 18.3% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 1.2% | 2.9% | -9.0% | -2.8% | 8.0% | 8.9% |
| სამცხე-ჯავახეთი | -0.3% | 18.5% | -10.5% | 27.2% | 9.2% | 8.8% |
| მცხეთა-მთიანეთი | 4.5% | 17.9% | 5.8% | 23.3% | 2.5% | 13.9% |
| თბილისი | 2.5% | 11.5% | 1.4% | 9.0% | 11.3% | 28.9% |
| **სულ ფასების % ცვლილება** | **4.3%** | **17.5%** | **1.4%** | **19.5%** | **7.0%** | **22.8%** |

6 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.

# სასტუმროს საშუალო ფასები (თებერვალი 2022)

- 2022 წლის თებერვალში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[7] 140 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 234 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[8] საშუალო ფასმა თებერვალში 113 ლარი შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა თებერვალში 416 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 556 ლარი შეადგინა, კახეთში - 482 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 389 ლარი, ხოლო გურიაში - 387 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები
რეგიონების მიხედვით (2022 თებერვალი, ლარი)




7 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

8 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

# ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | I 2020 | II 2020 | III 2020 | IV 2020 | 2020 | I 2021 | II 2021 | III 2021 | IV 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1054.1 | 1437.5 | 1800.0 | 2 223.0 | 404.7 | 216.5 | 340.6 | 242.6 | 1204.5 | 197.8* | 452.2* | 602.3* | 472.0* |
| 2 | 6720.0 | 7902.5 | 8679.5 | 9357.9 | 1333.1 | 114.2 | 150.3 | 149.6 | 1749.3 | 134.7 | 351.3 | 815.4 | 579.8 |
| 3 | 3297.3 | 4069.4 | 4756.8 | 5080.5 | 765.3 | 82.3 | 113.6 | 125.9 | 1087.0 | 116.6 | 305.8 | 670.4 | 484.7 |
| 4 | 2110.7 | 2704.3 | 3222.1 | 3268.7 | 427.7 | 28.8 | 42.5 | 42.6 | 541.7 | 53.6 | 246.1 | 566.0 | 379.4 |
| 5 | 386.3 | 463.6 | 524.7 | 657.2 | 124.1 | 13.5 | 20.9 | 22.0 | 180.5 | 19.8 | 37.1 | 62.6 | - |
| 6 | 120.0 | 109.5 | 82.3 | 123.4 | 7.4 | -6.0 | 1.5 | -252.4 | -249.5 | -0.9* | -1.4* | 10.7* | -0.7* |

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

* პირველადი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის", ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

**ნიკა კაპანაძე**
უმცროსი მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

**ნანა ქაჯაია**
კვლევითი ასისტენტი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული,
თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org